ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №3

3 იანვარი 2013 წ.

ა.(ა).ი.პ. ,,სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი"-სათვის (ს/კ - 441993336) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და ა.(ა).ი.პ. „სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი"-ს (ს/კ - 441993336) 2012 წლის 20 დეკემბრის №31 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს სარგებლობის უფლებით ა.(ა).ი.პ. ,,სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს" (ს/კ - 441993336), ,,სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს" წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად, მოვლა-პატრონობის ვალდებულებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დ. ჩოხატაურში დუმბაძის ქ.№52-ში მდებარე შენობა-ნაგებობა მასზე დამაგრებულ 652 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.21.093), საბალანსო ღირებულებით - 60 215 (სამოცი ათას ორას თხუთმეტი) ლარი, მიწის ღირბულება - 7 824 (შვიდი ათას რვაას ოცდაოთხი), მიწის ნორმატიული ფასი - 12 (თორმეტი) ლარი.

2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-თ გათვალისწინებული უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.
3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს უზუფრუქტუარის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით.
4. მხარეთა შორის გასაფორმებელი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ (თამაზ ჯინჭარაძე).
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი *მიხეილ უნგიაძე*

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*